სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

05/08/2024

MES 4 24 0000942189

„სწავლის საფასურის გადახდის წესის განსაზღვრის თაობაზე“ სტუ-ს რექტორის 2023 წლის 31 იანვრის MES 8 23 0000103347 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის და „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე“ ჩარიცხულ პირთათვის სწავლის საფასურის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2024 წლის 17 აპრილის N01-06-02/20 დადგენილების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. „სწავლის საფასურის გადახდის წესის განსაზღვრის თაობაზე“ სტუ-ს რექტორის 2023 წლის 31 იანვრის MES 8 23 0000103347 ბრძანებაში შეტანილი იქნეს ცვლილება, ბრძანების მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს მე-4^1 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4^1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის და „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის #224 ბრძანების საფუძველზე ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირებისათვის სწავლის საფასური განისაზღვროს 3500 (სამი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით.“.

2. ბრძანება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და განთავსდეს უნივერსიტეტში ყველასთვის თვალსაჩინო ადგილებზე, მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

რექტორი
გურგენიძე დავით